

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი № 16

ქ. გარდაბანი

18 დეკემბერი 2023 წელი 11:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი:

სამირ ხიალოვი	შახადატ მეხრაღიევი
ზაზა ონიანი	კამრან ბაბაევი
ზურაბ ბენდელიანი	ლევან ბეგლარიშვილი
სახმან მირზოევი	გუსეინკულუ მუსაევი
ბეთქილ კახიანი	ზურაბ კორახაშვილი
ისლამ მამედოვი	აკიფ ისმაილოვი
გიორგი გურულიშვილი	მადონა გაბროშვილი
დავით ებილაშვილი	მეითხან მეითხანოვი
ანი მანჩხაშვილი	ლალი კახურაშვილი
მირზა მირზოევი	ანარ მურადოვი
ფლორა ასკაროვა	ნათია ბარათელი
ლევან ნიჟარაძე	ზაბიტ მამედოვი
თამარ ხაჩიძე	ეველინა ჩოხელი
ლაშა ქართლოსიშვილი	აბდულალი იბრაგიმოვი
ტარიელ ჯანხოთელი	
თორნიკე ქავთარაძე	
ლია მეტრეველი	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - ნინო დათუაშვილი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შალვა გურულიშვილი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის, საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი - რომან ონიანი.

საინფორმაციო პორტალი TOK TV -ს წარმომადგენელი - რუსტამ მაილოვი.

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი

თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: გოჩა ახალკაციშვილი

თანამომხსენებელი: გიორგი გურულიშვილი

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „გარდაზნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი

თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაზნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: გოჩა ახალკაციშვილი

თანამომხსენებელი: გიორგი გურულიშვილი

3. „გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის N92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

„გარდაზნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა, გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - შალვა

გურულიშვილმა, საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი.

ქარბი შემოსავლების მიღების შედეგად გაიზარდა სხვა შემოსავლები - 563,000 ლარით, კერძოდ:

- პროცენტები - 200,000 ლარი;
- რენტა - 55,000 ლარი;
- სანებართვო მოსაკრებელი - 25,000 ლარი;
- ჯარიმები, სანქციები, საურავები - 140,000 ლარი;
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 143,000 ლარი;

ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 300,360 ლარი. შემცირდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი - 50,000 ლარით.

სულ 913.360 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება - 570,000 ლარი;
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი - 29,000 ლარი;
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის - 5,000 ლარი;
- ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი - 7,100 ლარი;
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 37,660 ლარი;
- ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი - 102,100 ლარი;
- გარე-განათების ქსელის ექსპლოატაცია - 160,000 ლარი;
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, შრომის ანაზღაურება - 2,500 ლარი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ - ანარ მურადოვმა გამოთქვა აზრი, რომ აუცილებელია სხდომას დასწრებოდნენ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები, რათა უშუალოდ გაეცათ პასუხები საკრებულოს წევრებისთვის მოთხოვნილი თანხების მიზნობრიობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა განმარტა, რომ თანხა გათვალისწინებულია სახელფასო დანამატისთვის, რაზეც საკრებულოში ბიუჯეტის ცვლილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია-„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ - მადონა გაბროშვილმა გამოთქვა აზრი, რომ დანამატის გაცემის დროს სასურველია გათვალისწინებული იქნას თითოეული ა(ა)იპ-ის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ანარ მურადოვმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში რამდენიმე ა(ა)იპ დანამატს ალბათ ვერ დაიმსახურებდა და გამოთქვა პრეტენზია ზოგიერთი ა(ა)იპ-ის მუშაობის მიმართ. ამასთანავე აღნიშნა, რომ როდესაც მუნიციპალიტეტში ამდენი სოციალურად დაუცველი ოჯახია, რამდენად მიზანშეწონილია დანამატების გაცემა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებმა აღნიშნეს, რომ ერთდროულად ყველა არსებული პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია, ეტაპობრივად ეცდებიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და ვინაიდან მუნიციპალიტეტის სამსახურებში დასაქმებულები ადამიანებიც ამ მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები არიან, აუცილებელია მათი ინტერესების გათვალისწინებაც.

აღნიშნული საკითხის განხილვის დროს საკრებულოს წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო სიტუაცია დაიძაბა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ - ანარ მურადოვმა გამოთქვა პრეტენზია, რომ ფრაქციის წევრებს არ ეძლეოდათ კითხვების დასმის საშუალება, რის გამოც აზრი არ ქონდა სხდომაზე მათ ყოფნას და პროტესტის ნიშნად ფრაქცია-„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დატოვეს საკრებულოს სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 2

მიღებულია დადგენილება №20 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკითხი 2.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გოჩა ახალკაციშვილი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას და საკითხი საკრებულოს წევრებს წარუდგინა

ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის, საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსმა რომან ონიანმა, კერძოდ, განკარგულების პროექტი - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“, მანვე განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 13 დეკემბრის №18-182334753 წერილით საკრებულოში წარმოდგენილი იქნა 2024 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პრიორიტეტული საპროექტო წინადადებები და საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული პროექტები.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -24
წინააღმდეგი -0

მიღებულია განკარგულება №97 – „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.

საკითხი 3.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის N92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის N92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის N92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24

წინააღმდეგი -0

მიღებულია განკარგულება N98 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის N92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ გედეხაური